



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 6

„ 17 „ 10 2018 წ.

**დადგენილება № 28**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უძრავ ქონებაში შემავალი ფართების იჯარით გაცემისა და მასში არსებული მოძრავი ქონების მოიჯარისათვის სასყიდლიან სარგებლობაში (ქირავნობის ხელშეკრულებით) გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 85-ე მუხლის პირველი და 1<sup>1</sup> პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-5 და 5<sup>1</sup> პუნქტების და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში შემავალი ფართები (პირველ სასწავლო კორპუსში ასლგადამდები ჯიხური 7,4 კვ.მ. და მე-2 სასწავლო კორპუსში ყავის ჩამოსასხმელი აპარატის განსათავსებლად 2,25 კვ.მ ფართი) გაცემულ იქნეს იჯარით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ფართის (პირველ სასწავლო კორპუსში ასლგადამდები ჯიხური 7,4 კვ.მ.) იჯარით გაცემასთან დაკავშირებით მასში არსებული მოძრავი ქონება, უძრავი ქონების საიჯარო ხელშეკრულების ვადით, მოიჯარისათვის გადაცემული იქნეს სასყიდლიან სარგებლობაში (ქირავნობის ხელშეკრულებით) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. დადგენილების მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოძრავი ქონების სასყიდლიან სარგებლობაში (ქირავნობის ხელშეკრულებით) გადაცემის წლიური გადასახადი (ქირა) განისაზღვროს 30 (ოცდაათი) ლარით.
4. დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტით განსაზღვრული საკითხები შეთანხმების მიზნით წარედგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქარველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.
8. საფუძველი: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამინისტრაციის ხელმძღვანელის რ.თათეშვილის მიმართვა N1327399, 15.10.2018 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
 სპიკერი, პროფესორი

ლავერენტი ჩიბურდანიძე